დაიწყო განაცხადების მიღება ჩინეთის მთავრობის სტიპენდიაზე ნომინანტების წინასწარი შერჩევისთვის, რომელიც ხორციელდება ჩინეთის სასტიპენდიო საბჭოს მეშვეობით.

აღნიშნული პროგრამა აპლიკანტებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ დაფინანსება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სრული პროგრამის გავლისთვის პეკინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში

სასწავლო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამები
ინგლისურენოვანი პროგრამები
აერონავტიკა & ასტრონავტიკის მეცნიერება & ტექნოლოგია
მექანიკა
შეიარაღების მეცნიერება და ტექნოლოგია
უსაფრთხოების მეცნიერება და ინჟინერია
მექანიკური ინჟინერია
ენერგეტიკისა და თერმოფიზიკის ინჟინერია
ოპტიკური ინჟინერია
ინსტრუმენტთა მეცნიერება და ტექნოლოგია
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინჟინერია
ელექტრონიკის მეცნიერება და ტექნოლოგია
ინტეგრირებული წრედების მეცნიერება და ინჟინერია
მართვის მეცნიერება და ინჟინერია
კომპიუტერული მეცნიერება და ტექნოლოგია (პეკინის/ჟუჰაის კამპუსი)
კიბერსივრცის მეცნიერება და ტექნოლოგია
მასალების მეცნიერება და ინჟინერია (ჟუჰაის კამპუსი)
ქიმიური ინჟინერია და ტექნოლოგია
ქიმია
ბიოლოგია
ბიომედიცინის ინჟინერია
ფიზიკა
ბიზნესის ადმინისტრირება
გამოყენებითი ეკონომიკა
სამართალი

სადოქტორო პროგრამები	
ინგლისურენოვანი პროგრამები	
აერონავტიკა & ასტრონავტიკის მეცნიერება & ტექნოლოგია	მენეჯმენტის მეცნიერება და ინჟინერია
მექანიკა	ბიზნესის ადმინისტრირება
შეიარაღების მეცნიერება და ტექნოლოგია	გამოყენებითი ეკონომიკა
უსაფრთხოების მეცნიერება და ინჟინერია	თეორიული ეკონომიკა

მექანიკური ინჟინერია	ეროვნული ეკონომიკის მობილიზაცია
ენერგეტიკისა და თერმოფიზიკის ინჟინერია	ფიზიკა
ოპტიკური ინჟინერია	სტატისტიკა
ინსტრუმენტთა მეცნიერება და ტექნოლოგია	განათლება
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინჟინერია	სამართალი
ელექტრონიკის მეცნიერება და ტექნოლოგია	მათემატიკა
ინტეგრირებული წრედების მეცნიერება და ინჟინერია	ბიომედიცინის ინჟინერია
მართვის მეცნიერება და ინჟინერია	ბიოლოგია
კომპიუტერული მეცნიერება და ტექნოლოგია (პეკინის/ჟუჰაის კამპუსი)	ქიმია
კიბერსივრცის მეცნიერება და ტექნოლოგია	ქიმიური ინჟინერია და ტექნოლოგია
მასალების მეცნიერება და ინჟინერია (ჟუჰაის კამპუსი)	

<u>კონკურსზე დაშვების წინაპირობა:</u>

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღება ასევე შეუძლიათ ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს.
2. არ უნდა იყოს ჩინეთის მოქალაქე, კარგი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობით, იცავდეს ჩინეთის კანონებს, წესებსა და რეგულაციებს, ასევე პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის შიდა წესებსა და რეგულაციებს;
3. ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA მინიმუმ 3.5), ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს ან მის ეკვივალენტს და სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადის წარდგენის დროს ასაკით არ აღემატებოდეს 35 წელს.
4. ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA მინიმუმ 3.5), ფლობდეს სამაგისტრო ხარისხს ან მის ეკვივალენტს და სადოქტრო პროგრამაზე განაცხადის წარდგენის დროს არ აღემატებოდეს 40 წელს;
5. **ინგლისურენოვან პროგრამებზე** აუცილებელია TOEFL-ის მინიმალური ქულა 85, IELTS-ის საერთო ქულა 6.0 ან Duolingo English Test-ის ქულა 110.
6. აქვს მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ან სტაჟირების გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე.

<u>სააპლიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალი:</u>

1. სკანირებული პასპორტის ასლი (ფოტოს გვერდი, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს აქვს ჩინეთის ვიზა, შესაბამისი გვერდის სკანირებული ასლი);
2. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი;
3. სკოლის ატესტატის სკანირებული ასლი (ჩინურ/ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
4. ნიშნების ამონაწერი (ჩინურ/ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული, GPA-ის მითითებით);
5. CV ინგლისურ ენაზე;
6. მოტივაციის წერილი და სასწავლო გეგმა;
7. აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული ორი სარეკომენდაციო წერილი (შესრულებული ინგლისურ ენაზე ფაკულტეტის ბლანკზე, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით);
8. სამედიცინო შემოწმების დასკვნა (სისხლის ანალიზის ჩათვლით) ინგლისურ ენაზე;

9. ინგლისური ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი (TOEFL-ის მინიმალური ქულა 85, IELTS-ის საერთო ქულა 6.0 ან Duolingo English Test-ის ქულა 110).

გაცვლით პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა გადმოგზავნონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) outgoingmobility@tsu.ge არაუგვიანეს 2025 წლის 13 იანვრის 14:00 საათისა.

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სტიპენდია უზურნველყოფს:

- სამაგისტრო (2 წელი) და სადოქტორო (4 წელი) პროგრამების საფასურს;
- უფასო საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელს ან საცხოვრებელი ხარჯების ნაწილობრივ სუბსიდირებას;
- სამედიცინო დაზღვევას;
- თვიურ სტიპენდიას (CNY 3,000 მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და CNY 3,500 დოქტორანტურის სტუდენტებისთვის)

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მგზავრობის ხარჯები არ ფინანსდება!